

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი



შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტეფანწმინდა-სამების
ეკლესია საავტომობილო გზის კმ1-კმ6 მონაკვეთის
რეკონსტრუქცია-მშენებლობის სამუშაოების საპროექტო
მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა

საკონკურსო განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და
“კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ”
სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის 33 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება -----	3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია-----	10
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი-----	20
4. დამატებითი ინფორმაცია-----	31
5. დანართი №1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა-----	32
6. დანართი №2 რეკვიზიტები-----	33
7. დანართი №3 ხარჯთაღრიცხვა-----	34

1. საკონკურსო განცხადება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს: **შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტეფანწმინდა-სამების ეკლესია საავტომობილო გზის კმ1-კმ6 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობის სამუშაოების საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე** და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს:

- შესყიდვის ობიექტი:** შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტეფანწმინდა-სამების ეკლესია საავტომობილო გზის კმ1-კმ6 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობის სამუშაოების დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციისა შედგენის მომსახურება.
- შესყიდვის ობიექტის საგარეულო ღირებულება:** შესყიდვის ობიექტის საგარეულო ღირებულება შეადგენს **180 000** (ასოთხმოცი ათასი) ლარს (მაგრამ არა უმეტეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების 3%-სა).
- დაფინანსების წყარო:** საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.
- შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:** ხელშეკრულების გაფორმებიდან **90 დღის** განმავლობაში;
- კონკურსში მონაწილეობის საფასური:** საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

სააგენტოს ანგარიშის ნომერი, რომელზეც გადაიხდება საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასური	
მიმღების ბანკი:	ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი:	REPLGE22
მიმღები:	ს.ს.ი.პ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
მიმღების ანგარიშის №	GE52BR0000010591718543

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

შენიშვნა: საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე-5 პუნქტის დარღვევით

წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, მონაწილე პირის საკონკურსო დოკუმენტაცია ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

6. **საკონკურსო წინადადების მიღება:** კონკურსანტებმა საკონკურსო წინადადება 2 (ორი) დალუქული კონვერტით:

1. **ფინანსური წინადადების კონვერტი**, რომელშიც იქნება განთავსებული სატენდერო წინადადების ფასი, მე-10 პუნქტის 10.3 და 10.4 პუნქტებით გათვალისწინებული დანართები №2 და №3;

2. **ტექნიკური დოკუმენტაციის კონვერტი**, რომელშიც იქნება განთავსებული მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, დამოწმებული აფიდავიტის ფორმა (დანართი №1) და მე-10 პუნქტის 10.5—10.8. პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია.

კონვერტები წარმოდგენილ უნდა იქნას ცალ-ცალკე პაკეტებად, 2014 წლის 11 ივნისიდან 13 ივნისის 16:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12, მე-4 სართული, ოთახი №413, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

7. **საკონკურსო წინადადებების გახსნა:** საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დალუქული ტექნიკური დოკუმენტაციის პაკეტების გახსნა მოხდება 2014 წლის 13 ივნისის 17:00 საათზე, ხოლო ფინანსური წინადადებების პაკეტები შეინახება დალუქულ მდგომარეობაში პრეტენდენტთა ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასებამდე.

8. ამ განცხადების მე-6 პუნქტის მოთხოვნების დარღვევით, აგრეთვე დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

9. **საკონკურსო წინადადებების მოქმედების ვადა:** საკონკურსო წინადადება ძალაშია კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

10. **საკონკურსო წინადადების შემადგენლობა:** დალუქული პაკეტით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს:

10.1 საკონკურსო წინადადების ფასს (ციფრობრივად და სიტყვიერად). საკონკურსო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში და უნდა შეიცავდეს დღგ-ს.

10.2. აფიდავიტს (დანართი №1)

10.3. რეკვიზიტებს (დანართი №2)

10.4. ხარჯთაღრიცხვას (დანართი №3).

10.5. ინფორმაციას მომსახურების გასაწევად საჭირო მოწყობილობა-დანადგარების და აპარატურის შესახებ.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვნა და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, გეოდეზური მოწყობილობები, საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოებისათვის შესაბამისი

ტექნიკა, კომპიუტერული ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა შესაბამისი მოწყობილობა-დანადგარები, აპარატურა და ხელსაწყოები.

№	მოწყობილობა-დანადგარების და აპარატურის დასახელება	რაოდენობა
1	გეოდეზიური მოწყობილობები: -GPS (გადასაადგილებადი) 1 სმ სიზუსტის მახასიათებლით -ელექტროტაქომეტრი -ნიველირი	1 1 1
2	საინჟინრო-გეოლოგიური მოწყობილობა: -გეოლოგიური საბურღი მანქანა -გრუნტის სტატიკური და დინამიკური ტესტების ჩასატარებელი მოწყობილობა(CBR)	1 1
3	სამოსის შესასწავლი მოწყობილობა: -საფუძელის დეფორმაციის მოდულის საზომი	1
4	კომპიუტერული მოწყობილობა: -კომპიუტერი	2
5	გასამრავლებელი მოწყობილობა: -პრინტერი A-3 -პლოტერიA-0 -ქსეროქსი	1 1 1
6	-მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებები	1
7	ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა -საგზაო პროგრამა -ხელოვნური ნაგებობების საანგარიშო პროგრამა	1 1

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

№	მოწყობილობა-დანადგარების და აპარატურის დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახშირი, მოძველებული)	საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა. იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები.
1 2 და ა.შ.					

10.6. ინფორმაციას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ძირითად სპეციალისტთა შესახებ

იმ ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე, და რომელიც იღებს ტექნიკურ გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად უნდა ჰყავდეს წარმოდგენილი ის ძირითადი სპეციალისტები, რომლებიც მოთხოვნილია ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით. ამასთან, მათ უნდა გააჩნდეთ კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების გაწევის არანაკლებ 5-15 წლიანი გამოცდილება:

№	დასახელება	ანალოგიურ სამუშაოზე მუშაობის სტაჟი	რაოდენობა
1	გუნდის ხელმძღვანელი – საგზაო/სამოქალაქო ინჟინერი	15	1
2	ხელოვნური ნაგებობების ინჟინერი	10	1
3	ტოპოგრაფიული კვლევის სპეციალისტი	8	1
4	ინჟინერ-გეოლოგი	10	1
5	ჰიდროლოგი	15	1
6	შესყიდვების/კონტრაქტების სპეციალისტი	5	1
7	განსახლების სპეციალისტი	5	1
8	გარემოს დაცვის სპეციალისტი	5	1
9	ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი	5	1

შენიშვნა: მოთხოვნილი ძირითად სპეციალისტთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 80 პროცენტისა უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება	ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება	ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და ამ
----------------------------	------------------	-----------------------------------	--	---

		(წელი)		ორგანიზაციებში დაკავებული თანამდებობები წლების მიხედვით. ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება კონკრეტული ობიექტების მითითებით, დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია).
1				
2				
და ა.შ.				

10.7. ინფორმაციას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში გაწეული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების გამოცდილების შესახებ.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს (ქვე-კონტრაქტორის გარეშე), უკანასკნელი 3 (სამი) და მიმდინარე წლის განმავლობაში, შესრულებული უნდა ჰქონდეს მალაღმთიანი რელიეფის მქონე რეგიონში, **ერთერთ ობიექტზე** არანაკლებ **10.0 მლნ. ლარის** ღირებულების ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებისათვის (საავტომობილო გზების მშენებლობა; ან/და რეკონსტრუქცია; ან/და მოდერნიზაცია; ან/და რეაბილიტაცია) საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება.

ამასთან, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს (ქვეკონტრაქტორთან ერთად) უკანასკნელი 3 (სამი) და მიმდინარე წლის განმავლობაში, **ერთ-ერთ წელს** შესრულებული უნდა ჰქონდეს **ერთობლიობაში** არანაკლებ **25.0 მლნ. ლარის** ღირებულების ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებისათვის (საავტომობილო გზების მშენებლობა; ან/და რეკონსტრუქცია; ან/და მოდერნიზაცია; ან/და რეაბილიტაცია) საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება.

უშუალოდ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის (ქვე-კონტრაქტორის გარეშე) გამოცდილება უნდა შეადგენდეს კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური სამუშაოების საერთო გამოცდილების არა ნაკლებ **70%-ს**.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ მომსახურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ცნობა). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ მომსახურებაზე.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად

№	მომსახურების დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება (ცალ-ცალკე სამშენებლო და საპროექტო ღირებულებები)	წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები და ფაქტიურად გაწეული მომსახურების (ცალ-ცალკე სამშენებლო და საპროექტო) ღირებულებები
1				
2				
და ა.შ.				

10.8. ინფორმაციას ქვე-კონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ.

-- შენიშვნა: ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორზე წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია.

* ქვე-კონტრაქტორის დასახელება და მისამართი;

* გასაწევი მომსახურების დასახელება;

* ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება. წარმოდგენილი იქნას ის ძირითადი ობიექტები, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური მომსახურება, თანხების და შესრულების ვადების მითითებით. წარმოდგენილი უნდა იქნას ასევე ამ ობიექტებზე ხელშეკრულებების ასლები და მომსახურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები—მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ცნობა. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით გაწეულ მომსახურებაზე).

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად

ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	გასაწევი მომსახურების დასახელება	ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება
1		
2		
და ა.შ.		

- ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში. ქვე-

კონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების მთლიანი მოცულობის 40%.

შენიშვნა:

1. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ. ხელმოწერის გარეშე წარმოდგენილი წინადადება არ განიხილება. ამასთან დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ დოკუმენტებში აღმოჩენილი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.
- 2 შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა უცხო ქვეყნის პირებმა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი სამსახურებიდან, დამოწმებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლევალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული).
11. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
12. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (**180 000 ლარი**) არ განიხილება.
13. **საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:**
 - 13.1 კონკურსანტის გამოცდილება 0,6. (მათ შორის კონკურსანტის ტექნიკური აღჭურვილობა 0,1; ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გამოცდილება 0,3 და კონკურსანტი კომპანიის გამოცდილება 0,2).
 - 13.2 საკონკურსო წინადადების ფასი 0,4.
 - 13.3 შეფასება განხორციელდება 10-ბალიანი სისტემით.
 - 13.4 თავდაპირველად შეფასდება კონკურსანტის გამოცდილება (ტექნიკური ნაწილი), დაანგარიშდება საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ შეფასებული ქულების საშუალო არითმეტიკული, რომელიც დაფიქსირდება საკონკურსო კომისიის სხდომაზე და ამის შემდეგ კონკურსანტების თანდასწრებით გაიხსნება კონკურსანტების ფასები. ყველაზე დაბალი ფასის მქონე საკონკურსო წინადადება შეფასდება მაქსიმალური 4 ქულით, ხოლო დანარჩენები კონკურსანტების ფინანსური ნაწილი შეფასდება ფასების მიხედვით უკუპროპორციულად ყველაზე დაბალ ფასთან მიმართებაში.
 - 13.5 გამარჯვებულად ჩაითვლება იმ კონკურსანტის საკონკურსო წინადადება, რომელიც ტექნიკური და ფინანსური ნაწილის შეფასების შედეგად დააგროვებს ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას.
 - 13.6 ის კონკურსანტები, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ საკონკურსო განცხადების მე-10 მუხლის 10.5-10.8. პუნქტებით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დისკვალიფიცირებული იქნებიან კონკურსიდან და მათ უკან დაუბრუნდებათ ფინანსური წინადადების პაკეტი გაუსხნელად.

14. ანგარიშსწორების პირობები:

- 14.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ღარში.
- 14.2. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.
- 14.3. წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) წესი განისაზღვრება ხელშეკრულების პროექტით განსაზღვრული პირობებით.

**სტეფანწმინდა-სამების ეკლესიის (შ-146) საავტომობილო გზის რეკონსტრუქციამშენებლობის
სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად**

ტექნიკური დავალება

წინამდებარე ტექნიკური დავალება აღწერს კონსულტანტის მიერ განსახორციელებელ მომსახურებას, დავალების მიზნებს, მისი შესრულებისათვის საჭირო სამოქმედო პრინციპებს, საშუალებებსა და ძირითად საბაზისო მონაცემებს.

დავალება ითვალისწინებს სტეფანწმინდა-სამების ეკლესიასთან მისასვლელი საავტომობილო გზის კმ1-კმ6 (მანძილი დაზუსტდეს პროექტით) სამშენებლოსარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო კვლევების ჩატარებასა და შესაბამისი დეტალური საპროექტო-სახარჯთაღიძვრო დოკუმენტაციის შედგენას.

I. გასაუმჯობესებელი გზის მოკლე დახასიათება

არსებული გზა იწყება სტეფანწმინდაში, გაივლის სოფ. გერგეთის მჭიდროდ და სახლებულ უბნებს დაახლოებით 2 კმ-ის მანძილზე, რომელიც გრძელდება ტყიან ფერდობებზე ასევე დაახლოებით 2 კმ-ზე. შემდგომ გზა გადის ალპურზონაში და მიემართება სამების ეკლესიისაკენ. გზის მიწის ვაკისის სიგანე იცვლება 3-დან 6 მეტრამდე, ხოლო ქანობები აღწევს 15-16 %. სოფლის შემდეგ გვხვდება სერპანტინები, რომელთა რადიუსები მაქსიმუმ 5,0 მეტრია. გზის მთლიანი სიგრძე შეადგენს 5,9 კმ-ს, ხოლო ზღვის დონიდან 1800-2200 მეტრის ფარგლებშია.

II. მომსახურების მიზანია:

- (i) საპროექტო მონაკვეთზე (დაახლოებით კმ1-კმ6) გზის ძირითადი ტექნიკურეკონომიკური და ზოგადი სატრანსპორტო მახასიათებლებისა და მონაცემების განხილვა, შესწავლა და გაანალიზება, სოციალური და ეკონომიკური შეფასებებისა და ამ დავალებით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით;
- (ii) ტოპოგრაფიული სირთულეებიდან გამომდინარე სრული საპროექტო კვლევის ჩატარება მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზიდან სოფ.გერგეთის გვერდის ავლით როგორც არსებული, ასევე ახალი მიმართულებებით;
- (iii) საპროექტო კვლევა უნდა მოიცავდეს რამოდენიმე ალტერნატიული მიმართულების (არანაკლები სამისა) ტექნიკურ ანალიზს, მათ შორის არსებულ მიმართულებას და რეკომენდირებული გზის პროექტირებას, ხარჯთაღრიცხვის შედგენასა და მოსაზრებებს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. ის უნდა ასახავდეს გარემოზე ზემოქმედების, სოციალური ანალიზის, შესაძლო დასაკავებელი მიწების, განსახლებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), და არქეოლოგიურ კვლევებთან დაკავშირებულ საკითხებს.
- (iv) დაგეგმილი სარეკონსტრუქციო -სამშენებლო სამუშაოებისათვის საპროექტოსახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციითა პაკეტის მომზადებასა და წარდგენას;

III. კონსულტანტი გალდებულია:

1. შეისწავლოს სტეფანწმინდა-სამების ეკლესია საავტომობილო გზის კმ1-კმნ (სიგრძე დაზუსტდეს პროექტით) მიმართულების სხვადასხვა ვარიანტი მაღალმთიან პირობებში ტრანსპორტის მოძრაობის სირთულის გათვალისწინებით და შერჩეული საუკეთესო ვარიანტები განიხილოს დასაკავებელი მიწებისა და განსახლების საკითხების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ვარიანტების ამ კუთხით შედარების შესაძლებლობის მიზნით. შერჩეული ვერსიების მიხედვით ისინი უნდა შეადაროს და შეაფასოს გარემოზე ზემოქმედების კუთხითაც;
2. საბოლოოდ შერჩეულ რამოდენიმე ვარიანტს შორის, თავისი შეფასებებისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანალიზებაზე დაყრდნობით (გარემოზე ზემოქმედების ანალიზის ანგარიშის გათვალისწინებით) წარუდგენოს დამკვეთს მის მიერ რეკომენდირებული, ერთი საუკეთესო ვერსია გზის კონკრეტული მიმართულების მიხედვით.
3. დამკვეთის მიერ განხილული და შეთანხმებული შერჩეული ვარიანტის მიხედვით მოამზადოს რეკონსტრუქცია-მშენებლობისათვის საჭირო დეტალური პროექტი, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს საპროექტო ორზოლიანი გზა, საჭიროების შემთხვევაში, ასაქცევი ჯიშებით, რომლის პარამეტრები შესაძლებლობის ფარგლებში უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული სტანდარტებისა (სსტ **Ggzebi**: 2009) და საქართველოში მოქმედი სხვა ნორმატივების მოთხოვნებს მაღალმთიანი პირობებისათვის (როგორც არის გზის გაბარიტი, პორიზონტალური და ვერტიკალური მრუდები, განივი პროფილები და სხვა). ამავე დროს, გათვალისწინებული უნდა იქნას ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსადგომისა და გზის ბოლო მონაკვეთთან (დაახლოებით 600 მეტრი) ერთად მისი საფარის მოკირწყვლით მოწყობა;
4. წარმოადგინოს შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციები.

ამისათვის გზის საპროექტო მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის უზრუნველყოფისა და სამუშაოების ოპტიმალური ღირებულების მიღების მიზნით:

- ა). საავტომობილო გზის სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება განახორციელოს საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ინსტრუქციის შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები);
- ბ). საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტის საჭირო წინასწარი შეთანხმებები (გარდა სამშენებლო მოედნის, ტერიტორიის გამოყოფისა და განთავისუფლების, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას);

IV. პროექტის განხორციელების წყარო

რეკონსტრუქცია-მშენებლობის საპროექტო სამუშაოების დაფინანსება განხორციელდება საქართველოს 2014 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ფარგლებში.

V. რეკონსტრუქცია-მშენებლობა ითვალისწინებს:

- ა). საპროექტო სამუშაოების საჭირო მოცულობების შედგენას, რომლებიც უზრუნველყოფენ გზის გამტარუნარიანობას;

- ბ). საქართველოში მოქმედი ტექნიკური და მაღალმთიანი პირობების შესაბამისად გზის გეგმის, გრძივი და განივი პროფილების გეომეტრიული პარამეტრებით მოწოდებას;
- გ). გზის მიწის ვაკისის სიგანე 6,5 მ, სავალი ნაწილის სიგანე 5,5 მ და საფარის ტიპი დაზუსტდეს პროექტით, აგრეთვე გზის ბოლო მონაკვეთი, დაახლოებით 600 მეტრი მოიკირწყლოს;
- დ). ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მოწოდებას 40 ტონა საანგარიშო დატვირთვების მიხედვით, ტროტუარების გარეშე გაბარიტებით 6,5 მ;
- ე). ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწეოს მოკირწყლული ავტოსადგომი ტურისტებისა და ეკლესიის მომსახურეთათვის;

VI. წინასწარი სამუშაოები

კონსულტანტმა უნდა გაითვალისწინოს მიწების შესყიდვის ღონისძიებები (არსებობის შემთხვევაში), რომელთა განსახორციელებლად შესაძლოა საჭირო გახდეს განსაზღვრული წინასწარი სამუშაოების შესრულება.

VII. სარეკონსტრუქციო სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების ტექნიკური სპეციფიკაციები

საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობის სამუშაოების ჩამონათვალი და მისი სავარაუდო ღირებულებები ყველა შემთხვევაში განისაზღვრება საპროექტო მონაკვეთზე გათვალისწინებული საგზაო და არსებული რელიეფური პირობებით.

1. საველე საკვლევაძიებო სამუშაოებზე ჩასატარებელი საორიენტაციო სამუშაოები

ითვალისწინებს:

- მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას საველე სამუშაოებისათვის;
- რელიეფის ტოპოგრაფიულ გადაღებას გზის ღერძიდან ორივე მხარეს, რომელიც დამუშავებული უნდა იყოს აბსოლუტურ UTM კოორდინატთა სისტემაში;
- განივი პროფილების გადაღებას მახასიათებელ წერტილებში (განისაზღვროს ადგილზე);
- საჭიროების შემთხვევაში, მუდმივი რეპერების მოწოდებას ტრასის მისაბმელად;
- სახიდე გადასასვლელების, მცირე ხელოვნური ნაგებობების მოწოდების ადგილების შესწავლას ისეთი მოცულობით, რაც საკმარისი იქნება შემდგომი დაპროექტებისათვის;

2. კამერალური სამუშაოები

- გზის ტრასის სიტუაციური გეგმა დაპროექტების სირთულის პირობების მიხედვით გამოიხაზოს მასშტაბში 1 : 2000;
- გზის გრძივი პროფილი გამოიხაზოს გადაკვეთილი რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 2000.
- განივი პროფილები გამოიხაზოს მასშტაბში: ვერტიკალური 1 : 200, ხოლო ჰორიზონტალური 1 : 2000;
- ტოპოგრაფიული გეგმები გამოიხაზოს მასშტაბში 1 : 2000;
- სიტუაცია ტრასის გეგმაზე და გრძივ პროფილზე დატანილ იქნას სამშენებლო ნორმებით განსაზღვრული პირობითი ნიშნების გამოყენებით;

3. ჰიდროლოგიური კვლევა ხელოვნური ნაგებობებისათვის

ჰიდროლოგიური და ჰიდრომეტრიული სამუშაოების დროს უნდა შესრულდეს შემდეგი სახის საუშაოები:

– განისაზღვროს წყალშემკრები აუზები ხელოვნური ნაგებობებისათვის (ხიდები, მილები და სხვა) და დათვლილ იქნას წყლის ხარჯები ნაგებობების ხერეცებისა და კონსტრუქციის სიმაღლის განსაზღვრის მიზნით;

4. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საორიენტაციო სამუშაოები

ითვალისწინებს:

- საპროექტო გზის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევას შურფებისა და ჭაბურღილების გაყვანით (მდებარეობა დაინიშნოს სიტუაციის მიხედვით) და გრუნტის ნიმუშების აღებით;
- ჭაბურღილებისა და შურფებიდან აღებული გრუნტის ნიმუშებისა და მონოლითების ლაბორატორიული კვლევისა და მათი შედეგების გაანალიზებას;
- საპროექტო გზის საინჟინრო – გეოლოგიურ აღწერას და შესაძლებლობის ფარგლებში ადრე ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოების მასალების შესწავლასა და გაანალიზებას;

5. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა იყოს ლაკონური და მასში მხოლოდ მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი საკითხები უნდა აისახოს. ანგარიში უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №31 ბრძანებით დამტკიცებულია დებულებას „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

გზშ- ანგარიში უნდა მოიცავდეს :

- ☐ არატექნიკურ და ტექნიკურ რეზიუმეს;
- ☐ გარემოსდაცვითი პოლიტიკა და სტრატეგიას, იურიდიულ და ადმინისტრაციულ საფუძვლებს;
- ☐ პროექტის აღწერას:
- 1. გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერას; ჰაერის ხარისხი, ხმაური, კლიმატი
- 2. გარემოს ფიზიკო-გეოგრაფიული დახასიათება, ტოპოგრაფია, გეოლოგია და გეომორფოლოგია
- 3. ჰიდროლოგია, ზედაპირული წყლის ობიექტების აღწერა
- 4. ჰიდროგეოლოგია
- 5. ნიადაგები
- 6. ეკოლოგია-ფლორა
- 7. ეკოლოგია-ფაუნა
- 8. არქეოლოგიური და ისტორიული ადგილები
- ☐ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და შემარბილებელი ზომებს;
- ☐ ალტერნატივების ანალიზის;
- ☐ გარემოსდაცვითი მართვის გეგმას;
- ☐ საზოგადოებასთან კონსულტაციებსა და ინფორმაციის გავრცელებას;
- ☐ იმ პირების სიას, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ გზშ-ს

მომზადებაში;

- ☐ საკოორდინაციო და საკონსულტაციო შეხვედრების ოქმებს;
- ☐ სახელმძღვანელო დოკუმენტაციას;

6. განსახლების სამოქმედო გეგმა

კონსულტანტმა განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) დამუშავებისას, გზის საბოლოო მიმართულების (ჰორიზონტალური და ვერტიკალური) შერჩევისთანავე, უნდა მოახდინოს გზის განთვისების ზოლის შესწავლა, აღწერა-ინვენტარიზაცია და ანალიზი, რომელთა მონაცემების საფუძველზე მოხდება რეალური და სამართლიანი კომპენსაციების გაანგარიშება და განსახლების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინება.

განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP) უნდა მომზადდეს ქვემოთ აღწერილი მონახაზის შესაბამისად:

1. პროექტის აღწერა

- 1.1 ზოგადი მიმოხილვა
- 1.2 გზის საპროექტო მონაკვეთის აღწერა

2. პროექტის პოტენციური ზემოქმედება

- 2.1 პროექტის ზემოქმედების ფარგლები
- 2.2 ზემოქმედება მიწაზე
- 2.3 ზემოქმედება შენობა-ნაგებობებზე
- 2.4 ზემოქმედება მოსავალზე და მრავალწლიან ნარგავებზე
- 2.5 ზემოქმედება ბიზნესზე.
- 2.6 სხვა ზემოქმედებები

3. პროექტის მიზნები და ამოცანები

4. საკანონმდებლო საფუძვლები

5. ინსტიტუციური სისტემა

6. გსგ-ს განხორციელება

7. შეფასების მეთოდოლოგია, ზარალისა და კომპენსაციის შეფასება

- 7.1. შენობა-ნაგებობების ღირებულების შეფასება
- 7.2. მიწის ნაკვეთების საკომპენსაციო თანხების საბაზრო ღირებულების გამოთვლა
- 7.3. მრავალწლიანი ნარგავების საკომპენსაციო თანხების გაანგარიშების მეთოდოლოგია.
- 7.4. ერთწლიანი კულტურების საკომპენსაციო თანხის გაანგარიშება
- 7.5. ბიზნესის კომპენსაციები

8. საჩივრების პროცედურები

9. ინსტიტუციური (ორგანიზაციული) პასუხისმგებლობა

10. განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების გრაფიკი

11. განსახლების ხარჯები და ბიუჯეტი

VIII. საჭირო სპეციალისტები

კონსულტანტი ვალდებულია ჰქონდეს კარგი გამოცდილება საავტომობილო გზების (განსაკუთრებით მთიან პირობებში) პროექტირების, წინასწარი საპროექტო კვლევების, ეკონომიკური ანალიზების, სოციალური საკითხების შეფასებებისა და მათი გაანგარიშების, გარემოს დაცვითი ანალიზების თვალსაზრისით.

მას უნდა ჰყავდეს გამოცდილი სპეციალისტებით დაკომპლექტებული გუნდი, რომლებიც ადგილზე (ველზე) განახორციელებენ მომსახურებისა და დავალების შესრულებისათვის საჭირო საინჟინრო საქმიანობას, რისთვისაც, როგორც მინიმუმ, აუცილებელია ჰყავდეთ:

1. გუნდის ხელმძღვანელი – საგზაო/სამოქალაქო ინჟინერი არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილებით;
2. ხელოვნური ნაგებობების ინჟინერი – არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილებით;
3. ტოპოგრაფიული კვლევის სპეციალისტი – არანაკლებ 8 წლიანი გამოცდილებით;
4. ინჟინერ-გეოლოგი – არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილებით;
5. ჰიდროლოგი – არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით.
6. შესყიდვების/კონტრაქტების სპეციალისტი – არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით;
7. ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი – არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით;
8. გარემოს დაცვის სპეციალისტი – არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით;
9. განსახლების სპეციალისტი – არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით;

კონსულტანტისთვის რეკომენდირებულია იქონიოს მჭიდრო სამუშაო კონტაქტები და კონსულტაციები დამკვეთთან, ძირითადი და საკანძო საკითხების გაანალიზებისა და გადაწყვეტის პროცესში. იგი ვალდებულია გაითვალისწინოს დამკვეთის კომენტარები და შენიშვნები და მოახდინოს შესაბამის ანგარიშებში სათანადო კორექტირება, ხელშეკრულების ვადის საბოლოო ამოწურვამდე.

IX. პროექტირების მომსახურების გრაფიკი, ანგარიშების წარმოდგენის ვადები

კონსულტანტი ვალდებულია:

ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან:

- არაუგვიანეს 10 დღეში დაიწყოს მომსახურების განხორციელება, რისთვისაც არაუგვიანეს 15 დღისა წარმოადგინოს დამკვეთთან მომსახურების სამუშაო გრაფიკი,
- არაუგვიანეს 60 დღეში წარმოადგინოს ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტილებები დამკვეთთან შესათანხმებლად და დასამტკიცებლად;
- არაუგვიანეს 80 დღეში წარმოადგინოს საბოლოო ანგარიში; დამკვეთი წარმოდგენილ ანგარიშებს განიხილავს 5 სამუშაო დღის ვადაში.

მომსახურების ხანგრძლივობა შეადგენს 90 დღეს (სამი თვე);

საბოლოო ანგარიში უნდა მოიცავდეს მშენებლობის სრულ და დეტალურ საპროექტო დოკუმენტაციას, ხარჯთაღრიცხვას და სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს;

ანგარიშების რაოდენობა შესრულებული ქართულ ენაზე უნდა იყოს – 8

ეგზემპლარი + ელ. ვერსია – 5 CD

კონსულტანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ანგარიშები (ასევე ელექტრონული ვერსიები). წარმოდგენილი უნდა იქნას დამკვეთთან შეთანხმებულ ვადებში, რისთვისაც კონსულტანტმა წინასწარ უნდა იზრუნოს.

X. გადახდის საგარეუდო პირობები

- ავანსი – სახელშეკრულებო თანხის არაუმეტეს 20%-მდე (გაიცემა მხარეებს შორის შეთანხმებით);
- ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტილებების წარმოდგენისა და მოწონების შემდეგ – 40% (ავანსის გაცემის შემთხვევაში შეთანხმებული ფორმულით ავანსის თვეების ჩათვლით);
- საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ – 40%;
- სრულად დავალების შესრულების, ასევე დამკვეთის მიერ საბოლოოდ მოწონებისა და ყოველგვარი კორექტირების საჭიროების ამოწურვის შემდეგ სრული ანგარიშსწორება 20% (მაგრამ არაუმეტეს 30 დღეში საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ).

XI. რეკომენდირებული სტანდარტები

რეკომენდირებულია და კონსულტანტი ვალდებულია პროექტის განხორციელებისას იხელმძღვანელოს:

1. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის №45 დადგენილებით „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ“.
2. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილებით „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი

---,---,2014 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საცემუნყოფო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მისი თავმჯდომარის მოადგილის ----- სახით, **შემდგომში: შემსყიდველი,** ----- მისი ღირებულების ----- სახით, შემდგომში - მიმწოდებელი, მეორეს მხრივ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 10² მუხლის პირველი პუნქტის და შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით გამოცხადებული კონკურსის (N -- ---) შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ, ----- საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (CPV 71320000).

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, შეადგენს ----- () ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს ----- () ლარს.

2.3 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია ყოველ თვეში წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით) ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის ჩვენებით.

2.5 ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელი ხელშეკრულებით და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესაღებად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მომსახურების განვითარების ვადების შესაბამისად, წარუდგენს შემსყიდველს დასრულებულ საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციას. შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ საბჭოზე პროექტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების შემდგომ, დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების

ორმხრივი აქტი (წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურა), რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს განეული მომსახურების ღირებულებას მიღება-ჩაბარების აქტისა და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 25 დღის განმავლობაში.

2.6 მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას წარუდგინოს შემსყიდველს, ფაქტიურად განეული მომსახურების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულებისა და სხვა გადასახადების გათვალისწინებით) ღირებულება.

2.7 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად განეული მომსახურების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების საფუძველზე.

2.8 საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი გასწევს საჭიროებიდან გამომდინარე საპროექტო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიუხედავად.

2.9 აუცილებლობის (საჭიროების) შემთხვევაში, მიმწოდებელს შეუძლია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით.

2.10 მიუხედავად შესაბამისი წერილობითი მოთხოვნისა, შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე.

2.11 შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს **საბანკო დანესებულების მიერ გაცემული** გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გასაცემი ავანსის დაქვითვამდე.

2.12 მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 20 პროცენტის ოდენობით. მრავალწლიანი ტენდერის შემთხვევაში საავანსო თანხა გაიცემა იმავე პროცენტული ოდენობით, მოთხოვნის მომენტისათვის არსებული წლის შესაბამისი ღირებულებიდან.

2.13 აღნიშნული თანხა მიმწოდებლის მიერ გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნით. შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$A*(X\%-Y\%)$$

$$d = \text{-----}$$

$$70 - 20$$

$$d = \text{არის გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში;}$$

A=წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას;

X=წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისთვის შესრულებული სამუშაოთა შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.

Y =არის(X)წინა პერიოდისათვის.

2.14 შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების მე-2 მუხლის 2.13 პუნქტის დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.

2.15 ავანსით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ საბანკო დანესებულების მიერ გაცემული უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე.

2.16 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასების (პროცენტების) შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელი მომსახურების მოცულობათა შესრულებაზე და მის გადახდაზე.

მუხლი 3. მომსახურების შესაბამისობა

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგრეთვე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიმწოდებლისაგან წარმოდგენილი დასრულებული დოკუმენტაციის (ნახაზები, ხარჯთაღრიცხვა, სატენდერო დოკუმენტაცია, ტექნიკური ანგარიშები და სხვა დოკუმენტაცია) ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ საბჭოზე პროექტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების (მაგრამ მიმწოდებლისაგან დასრულებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 28 დღისა) შემდეგ შემსყიდველი მიიღებს წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას, რაზედაც დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს გაცემული დავალების შესრულებას და სრულ ასანაზღაურებელ თანხას.

4.2. წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება ამ დოკუმენტაციაზე გაწეული მომსახურების ღირებულების 10%. მიმწოდებლის მიერ ცალკეული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტების შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენიდან აღნიშნული თანხის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 (ორ) წელს (საგარანტიო პერიოდი). აღნიშნული თანხის დაბრუნება (გარდა ამ მუხლის 4.4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების მიმწოდებლის მიერ შეუსრულებლობის შემთხვევისა) საგარანტიო პერიოდის გასვლამდე მოხდება შემდეგ ერთ-ერთ შემთხვევაში:

ა) აღნიშნული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ტექნიკურ საბჭოზე განხილვის ან/და საჭიროების შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადებითი დასკვნის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის გასვლის შემდეგ, 1 (ერთი) თვის განმავლობაში;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ სამუშაოები განხორციელდა 2 (ორ) წელზე (საგარანტიო პერიოდზე) ნაკლებ ვადაში, დაკავებული თანხა ანაზღაურდება სამუშაოების განხორციელებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში;

4.3. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.4. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში შემოწმების, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტიზის დასკვნის შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, ურთიერთშეთანხმებულ ვადებში.

4.5 იმ შემთხვევაში, თუ განუღივრება ან მიმდინარე მომსახურების ინსპექტირების შედეგები უარყოფითია, შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე და ანაზღაურებაზე.

4.6. განუღივრება მომსახურების მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი და/ან, საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი საავტომობილო გზის მონაკვეთი. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ განუღივრება მომსახურების მოცულობას და ხარისხს.

4.7. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულებისა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ობიექტის ფარგლებში შეუკვეთოს მიმწოდებელს ტექნიკურ დავალებაში აღნიშნული დამატებითი მომსახურების განუღივრება.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ----- - მდე.

გ) მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განხორციელოს ჯეროვნად, ხელშეკრულების პირობების, ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესაღვენად გაცემული ტექნიკური დავალების თანახმად;

დ) მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია გასაწევი ან/და განეული მომსახურების შესახებ;

ე) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა;

ვ) საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის მხრიდან წარმოდგენილ პროექტში შესატანი ცვლილების თაობაზე წარდგენილი მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს თავისი მოსაზრება ამ ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის მიუხედავად;

ზ) ანგარიშსწორებისას საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში მიუთითოს ფაქტიურად განეული მომსახურების მთლიანი და ჯამური ღირებულება;

თ) შემსყიდველს დაუყოვნებლივ აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე სხვა გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირთან ერთად მომსახურების განევის მიმდინარეობაზე, თანახმად ხელშეკრულების პირობების, ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს განეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

5.3. ხელშეკრულებით და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესაღვენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადებში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ შემსყიდველის და მიმწოდებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

5.4. შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესაღვენად მომსახურების განევის მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები.

5.5. ხელშეკრულების დამდე არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განევის და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო

საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკურ დავალებით განსაზღვრულ ვადებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე. ვადებში ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ, შექმნილი აუცილებლობიდან გამომდინარე, ტექნიკური დავალება მომსახურების განვითარების თაობაზე გაცემულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლოს და ამის გამო, მიმწოდებელი ვერ ასწრებს აღნიშნული დავალების შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, იგი შემსყიდველთან შეთანხმებით, გააგრძელებს მომსახურების განვითარების ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მიუხედავად, აღნიშნული ტექნიკური დავალების საბოლოო დასრულებამდე, ხოლო შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს განეულ ხარჯებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახარჯთაღრიცხვო პირობების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი შეთანხმება მომსახურების განვითარების ახალი ვადების გათვალისწინებით.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენის/ების დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ყოველი კონკრეტული ობიექტის საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების ან ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის განვითარების მომსახურების ღირებულების 3 (სამი) პროცენტი არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვევის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ---- %-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე მიიღოს შესაბამისი თანხა.

8.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიაღდება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენების შემთხვევაში.

8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტიის ფარგლებში, შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის გათვალისწინებით.

8.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

8.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში.

8.6 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული გარემოებები) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

8.7 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შემსყიდველისათვის გაწეული მომსახურება შეესაბამება ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, ხელშეკრულების პირობების, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად გაცემული ტექნიკური დავალების პირობებს.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

9.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დანყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

ე) ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია.

მუხლი 10. სამართალმემკვიდრეობა და უფლებამონაცვლეობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობები სავალდებულოა, როგორც ხელშეკრულების მხარეებისათვის, ასევე მათი სამართალმემკვიდრეებისათვის.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.3 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 11. სუბკონტრაქტორები

11.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ყველა შესაძლო ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ, თუ ეს უკვე არ იყო მითითებული სატენდერო წინადადებაში. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ასევე აცნობოს თუ რა მოცულობის სამუშაოები გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

11.2 ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების მთლიანი მოცულობის 40%.

11.3 მიმწოდებელი და მისი ქვეკონტრაქტორი ვალდებული არიან საზედამხებდველო ობიექტზე შეარჩიონ და დანიშნონ ის წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტები, რომლებიც მოხსენებული იყო მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემებში და მოწონებულია შემსყიდველის მიერ.

11.4 მიმწოდებელი, მის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემებში წარმოდგენილი მასთან მომუშავე წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტის სიობრივი რაოდენობის ზევით სპეციალისტს(ებს) ნიშნავს შემსყიდველთან შეთანხმებით.

მუხლი 12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 13. ინსპექტირება

13.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების და მისი დანართების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე,

13.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის ინსპექტირება.

13.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

13.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

14.2 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

14.3 იმ შემთხვევაში, ვთუ მომსახურების გაწევის დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

14.4 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14.5 მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული და შემსყიდველთან შეთანხმებული გასაწევი მომსახურების ფასები (პროცენტი) წარმოადგენს ხელშეკრულების ძირითად პარამეტრებს მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

14.6 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14.7 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.8 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.9 მიმწოდებლის საატენდერო წინადადება (ხარჯთაღრიცხვა, საგარანტიო უზრუნველყოფა, ტექნიკური პირობები, გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი, სპეციფიკაციები) თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან -----
----, გარდა ხელშეკრულებაში განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის
დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

მუხლი 16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო
საქვეყნებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი,

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N12

საიდენტიფიკაციო კოდი: 211 343 982

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ TRESGE22, ანგარიშის N 200122900.

ხელმოწერა

ბ.ა.

მიმწოდებელი:

დასახელება

მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

ხელმოწერა

ბ.ა.

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, აღ. ყაზბეგის ქ. №12, მე-4 სართული.

საკონტაქტო პირები: ოთარ ხატიაშვილი ტელ: +995 32 37 05 08 (293)

თენგიზ გველესიანი ტელ: +995 32 37 05 08 (229)

ლევან როსტომაშვილი ტელ: +995 32 37 05 08 (292)

ა ფ ი ლ ა გ ი ტ ი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ რომ ;

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
- ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი “კონკურენტი” აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულია კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. საკონკურსო წინადადების ფასი;
2. საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
3. საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
4. ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ დააკმაყოფილებს გამომცხადებელი კონკურსის პირობებს;

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

*საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავაცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერა, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

კონკურსანტის ხელმოწერა-----

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

საკონკურსო წინადადების ფასი:

ხარჯთაღრიცხვა

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტეფანწმინდა-სამების ეკლესია საავტომობილო გზის კმ1-კმ6 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობის სამუშაოების დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება

საპროექტო მომსახურების დასახელება	მთლიანი საპროექტო მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	2
შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტეფანწმინდა-სამების ეკლესია საავტომობილო გზის კმ1-კმ6 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობის სამუშაოების საპროექტო მომსახურება	
დღგ 18%	
სულ პროექტირების ღირებულება	

შენიშვნა: შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **180 000** (ასოთხმოცი ათასი) ლარს (მაგრამ არა უმეტეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების **3%-სა**).